როზეტა ასათიანი



ნებისმიერი მეცნიერების განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია შესაბამისი მეცნიერული აპარატი და მისი ადეკვატური გამოყენება, რაც სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ცნობილია, რომ მეცნიერული აპარატის შემადგენელი ნაწილია ზუსტი ტერმინოლოგია, ტერმინების ზედმიწევნით სრული განმარტება. საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის და კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერებისათვის ეს გარემოება ორმაგად აქტუალურია, ვინაიდან ტერმინების საშუალებით ხორციელდება ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირების კვლევა, კვლევის შედეგების შეჯამება, მეტიც, მეცნიერული ტერმინების სიზუსტისა და რაოდენობის მიხედვით მსჯელობენ ამა თუ იმ მეცნიერების განვითარების დონეზე.

ბოლო წლებში საქართველოს საცნობარო და სალექსიკონო ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი ლექსიკონი თუ ცნობარი გამოვიდა ეკონომიკის ცნებებსა და კატეგორიებზე, რაც უდავოდ მისასალმებელია. განმარტებითი ლექსიკონების გამოსვლის დღევანდელი აუცილებლობა განპირობებულია ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებებით, მეურნეობრიობის თვისებრივად ახალ მოდელზე – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი შეიძინა საბაზრო ეკონომიკის ამსახველი ეკონომიკური და საბანკო ტერმინოლოგიის სისტემატიზაციის საკითხმა.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, ჩვენი ღრმა რწმენით, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესსორ როზეტა ასათიანის მიერ მომზადებული „თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი“. მასში ყურადღებას იქცევს ორი მონათესავე, მაგრამ მაინც განსხვავებული დარგის – ეკონომიკისა და ბიზნესის ტერმინების ახსნა-განმარტება. პირველ შემთხვევაში ავტორი იძლევა ეკონომიკის სხვადასხვა მხარის ახსნას, ხოლო მეორე შემთხვევაში მოცემულია ბიზნესგარემოში კონკრეტული ქმედებებისა და ქცევების ამსახველი ტერმინების განმარტება, რაც უდაოდ გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს სალექსიკონო და საცნობარო ლიტერატურაში.

ლექსიკონში მოცემულია ეკონომიკური და საბანკო ტერმინების, საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების, ეკონომიკური კლასიფიკატორების, კონცეფციების, თეორიებისა და მოძღვრებების ახსნა-განმარტება, გადმოცემულია გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტების ბიოგრაფიული მონაცემები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ტერმინების განმარტებით, არამედ იძლევა მათ სიღრმისეულ ახსნას (მაგალითად, ეკონომიკური თეორია,ეკონომიქსი და სხვ.),რაც ასევე ლექსიკონის ღირებულ მხარესა და სიახლეს წარმოადგენს.

ენციკლოპედიური ლექსიკონი,თავისი ფორმითა და შინაარსით სერიოზული განაცხადია, შედგენილია იმგვარად, რომ საშუალებას აძლევს მკითხველს არა მარტო პროფესიულად დაეუფლოს ეკონომიკურ ტერმინოლოგიას, არამედ კარგად გაერკვეს თანამედროვე ეკონომიკის რთულ ურთიერთკავშირებში.

ლექსიკონში წარმოდგენილი ძირითადი ტერმინების განმარტებები მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ასახავს ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.

თეიმურაზ ბერიძე - ე.მ.დ., პროფესორი

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com